



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 66

2015 წლის 7 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში ე.წ „მთიულების დასახლებაში“ სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოებისათვის გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში ე.წ „მთიულების დასახლებაში“ არსებული სანიაღვრე არხის სწრაფი რეაბილიტაცია, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისათვის, რადგან ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სოფელ არაგვისპირში ე.წ „მთიულების დასახლებაში“ სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები 1 020 (ერთი ათას ოცი) ლარზე განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.